საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კასრაძე ნინო ვილენის ასული

კასრაძე ნინო ვილენის ასული (დ. 3. III. 1970, თბილისი), თეატრისა და კინოს მსახიობი. 1991 დაამთავრა თბილ. შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. თეატრ. ინ-ტი. 1993-იდან რუსთაველის თეატრის მსახიობია. აქ განხორციელებული მნიშვნელოვანი როლებია: შენ ტე, შუი ტა (ბ. ბრეხტის „სეჩუანელი კეთილი ადამიანი", მიენიჭა წლის საუკეთესო მსახიობი ქალის წოდება თეატრ. საზ-ბის მიერ, 1994); ირინე (დ. კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება"); ლედი მაკბეტი (უ. შექსპირის „მაკბეტი", საქართვ. სახელმწ. პრემია, 1996; რუსთავის თეატრ. ფესტივალ „ოქროს ნიღბის" გრან-პრი და წინანდლის პრემია, 2000); ლამარა (გ. რობაქიძის „ლამარა"); ქერესტანი (კ. გოცის „ქალი-გველი"); გერტრუდა, ვიოლა (უ. შექსპირის „ჰამლეტი", „შობის მეთორმეტე ღამე, ანუ როგორც გენებოთ"); მართა (დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი"); დეზდემონა (კ. ხოდიკიანის „ტრაქტატი ცხვირსახოცის შესახებ"); დოდო (თ. ჭილაძის „ჭალას ჩიტი მომკვდარიყო"); ბაბეტა (მ. ფრიშის „ბიდერმანი და ცეცხლისწამკიდებელნი"); კლიტემნესტრა (სოფოკლეს „ელექტრა“); ტელმა (ტ. სტოპარდის „მაგრიტის შემდეგ“), მესამე ქალი (ლ. ბუღაძის „ლისისტრატე“, პრემია „დურუჯი"; 2016). მონაწილეობდა სპექტაკლებში „იაკობის სახარება", „სტიქსი" და სხვ. სამეფო უბნის თეატრში შესრულებული როლებისათვის სოლანჟი (ჟ. ჟენეს „მოახლეები" (2015) და მარინა რევია (ა. ჩიღვინაძის „მარინა რევია"; 2016) მიენიჭა წლის საუკეთესო მსახიობი ქალის წოდება თანამედროვე თეატრის კვლევის ცენტრის მიერ, ხოლო როლისათვის მარინა რევია იგივე წოდება მიიღო თეატრ. საზ-ბისგან.

კ-ს შესრულებული აქვს როლები კინოფილმებსა და სატელევიზიო სერიალებში, მ. შ. ნინო („ორფეოსის სიკვდილი"; რეჟ. გ. შენგელაია; 1996), მერი („მარტოობის ორდენის კავალერი"; რეჟ. ა. ცაბაძე; 1998), ნანა („გასეირნება ყარაბაღში"; რეჟ. ლ. თუთბერიძე; 2005), ანა („დინოზავრი"; რეჟ. მ. ზუბაშვილი; 2013), ნინო („კრედიტის ლიმიტი"; რეჟ. ნ.

ალექსიმესხიშვილი; 2014), ეკა („ოჯახი"; რეჟ.: დ. ცინცაძე; 2017), მაკა („ჩემი ცოლის დაქალები“) და სხვ.

თ. კახიანი